

დამწერლობის ისტორია

ამ თავში განვიხილავთ სამ ანბანს, რომელსაც დასავლეთევროპული ენები იყენებდნენ, ეს ანბანებია: ლათინური ანბანი, რუნიკული ანბანი და გოთური ანბანი.

ლათინური ანბანი.

თანამედროვე დასავლეთევროპული ენები ძირითადად ლათინურ ანბანს იყენებენ. ლათინური ანბანით სარგებლობენ რომანული ენები, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ეს ენები ლათინური ენიდან განვითარდა. ლათინურ ანბანს იყენებენ გერმანიკული ენები, როგორც დასავლურგერმანიკული, ისე ჩრდილოგერმანიკული ენები. ლათინურმა ანბანმა ჩაანაცვლა საერთოგერმანიკული ანბანი, რომელიც რუნიკული ანბანის სახელითაა ცნობილი. ლათინურ ანბანს იყენებენ კელტური ენები. ოგამური დამწერლობა, რომელზეც შესრულებულია წარწერები ძველ ირლანდიურ ენაზე, ასევე ლათინურმა ენამ ჩაანაცვლა. სლავური ენების ანბანია კირილიცა, თუმცა კირილიცას იყენებენ აღმოსავლურსლავური ენები: რუსული, უკრაინული და ბელორუსული. დასავლურსლავური და სამხრეთსლავური ენები ძირითადად ასევე ლათინური დამწერლობით სარგებლობენ.

ლათინური ანბანის გამოყენება ევროპულ ენებში, ერთი მხრივ რომის იმპერიის ზრდასთან, მეორე მხრივ კი ქრისტიანობის გავრცელებასთანაა დაკავშირებული. რომაული ეკლესია კრძალავდა ღვთისმსახურებას ადგილობრივ ენებზე (vernaculars). ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობა უშუალოდ რომიდან შევიდა, ღვთისმსახურების აღმსრულებლებისგან მოითხოვდნენ ლათინური ენის ცოდნას. უმნიშვნელოვანეს ეკლესიებთან და მონასტრებთან იქმნებოდა სკოლები, სადაც ლათინურ ენას ასწავლიდნენ. ლათინური ენა იყო არა მხოლოდ ეკლესიის ენა, იგი იყო ოფიციალური დამწერლობის ენა. ამ ენაზე იწერებოდა კანონები, სიგელები და ა.შ. ამა თუ იმ დოკუმენტის შედგენა ლათინურ ენაზე ხშირად მოითხოვდა ადგილობრივი ენების სიტყვების ჩაწერას ლათინური ანბანით, ასეთი სიტყვები იყო: საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელები და სხვა. ასე იკიდებდა ფეხს ლათინური ანბანი

ძველგერმანიკულ და სხვა ევროპულ ენებში. ძველგერმანიკულ ენებში ლათინური ანბანის გამოყენების ყველაზე ადრეული ნიმუშები არის გლოსები ლათინურ ტექსტებში. შემდგომში, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ლათინური ანბანი უფრო რეგულარულად გამოიყენებოდა ძველგერმანიკულ და სხვა ძველ ენებზე უფრო დიდი მოცულობის ტექსტების შესადგენად. დასავლურგერმანიკულ ენებში ლათინური დამწერლობით შესრულებული ტექსტები გვხვდება VII – IX საუკუნეებიდან, სკანდინავიურ ენებში XII – XIII საუკუნეებიდან, სკანდინავიის ქვეყნების უფრო გვიანდელი გაქრისტიანების გამო.

ლათინური ანბანი შეიქმნა ძვ.წ. VIII – VII საუკუნეებში დასავლეთბერძნული და ეტრუსკული¹ დამწერლობის საფუძველზე.

ლათინური ანბანი 23 ასოსგან შედგებოდა: a, b, c, d, e, f, g, h, i (j), k, l, m, n, o, p, q, r, s, t, u (v), x, y, z. უძველეს ანბანს 20 ასო ჰქონდა. ანბანში არ იყო ასოები: q, y, z. ანბანის ცალკე ასობად არ ითვლებოდა j და v, ისინი i და u ხმოვნების გრაფიკული ვარიანტები იყო. ორივე ასო i (j) და u (v) გამოიყენებოდა როგორც ხმოვნების (i, u), ასევე თანხმოვნების (j, v) გადმოსაცემად. არ იყო ასო w. იგი მოგვიანებით წარმოიშვა ორი u/v-ს შერწყმის შედეგად, საიდანაც წარმოსდგება კიდევ მისი ინგლისური სახელწოდება – double u.

ევროპულ ენებზე ლათინური ანბანით შესრულებული უძველესი ჩანაწერები მეტყველებს იმაზე, რომ ლათინური ანბანი აღნიშნულ ენებში თავდაპირველად უცვლელად გამოიყენებოდა. ევროპული ენების იმ სპეციფიკური ბგერების გადმოსაცემად კი, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა ლათინურისგან, გამოიყენებოდა მეტ-ნაკლებად შესაფერისი ასო. შემდგომში თანდათან გამომუშავდა ევროპულ ენებში ლათინური დამწერლობის გამოყენების გარკვეული ტრადიცია.

¹ ეტრუსკული არაინდოევროპული ენაა, რომლის მატარებლებმაც რომაელებზე ადრე იტალიაში მაღალი კულტურა შექმნეს. ეტრუსკების ძირითადი ოლქი თანამედროვე ტოსკანა იყო.

ლათინურ ანბანს რიგ შემთხვევაში ემატებოდა ახალი ასოები იმ ბგერების გადმოსაცემად, რომლებიც უცხო იყო ლათინური ენისათვის, რიგ შემთხვევაში კი ლათინურ ასოებს ახალი ბგერითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ასოების ზომისა და ფორმის მიხედვით განასხვავებენ ლათინური ანბანის რამდენიმე სახესხვაობას. ლათინური დამწერლობის უძველესი ფორმაა კაპიტალური დამწერლობა (**scriptura capitalis**). ამ ანბანის ასოები იმდენად დიდი იყო, რომ ერთ გვერდზე ეტეოდა ასეთი ასოებით დაწერილი მხოლოდ ოთხი – ხუთი სიტყვა. კაპიტალური დამწერლობის ასოები ფორმით ემთხვევა თანამედროვე ლათინური ანბანის დიდ ასოებს (capital letters). III – IV საუკუნეებში კაპიტალური დამწერლობიდან განვითარდა უფრო გამარტივებული დამწერლობა – უნციალური დამწერლობა (**scriptura uncialis**). ლათინური ანბანის ამ სახესხვაობამ დასაბამი მისცა თანამედროვე ლათინური ანბანის ზოგიერთ პატარა ასოს. მოგვიანებით წარმოიშვა ლათინური დამწერლობის კიდევ ერთი სახესხვაობა – მინუსკულური დამწერლობა (**scriptura minuscula**). ლათინურად minusculus ნიშნავს პატარას. მინუსკულური ლათინური დამწერლობის ნუსხური ასოებია. ლათინური ანბანის ამ სახესხვაობიდან განვითარდა ძირითადად თანამედროვე ლათინური ანბანის პატარა ასოები. უმნიშვნელოვანესია ამ დამწერლობის ორი სახესხვაობა:

1) **კუნძულის მინუსკულური**, ანუ **ინსულარისი (Insular Minuscule Script)**, რომელიც გავრცელდა ბრიტანეთის კონძულებზე;

2) **კონტინენტური მინუსკულური (Continental Minuscule Script)**, რომელსაც გამოიყენებდნენ კონტინენტზე მცხოვრები ევროპელები. VIII – IX საუკუნეებში ფრანკთა სამეფოში შეიქმნა მინუსკულური დამწერლობის სახესხვაობა, რომელსაც **კაროლინგური მინუსკულური** ეწოდა.


ინსულარისი VII საუკუნაში ჩამოყალიბდა ირლანდიაში, სადაც ქრისტიანობამ და ლათინურმა დამწერლობამ VI საუკუნეში შეაღწია. ირლანდიელი მისიონერების მოღვაწეობის შედეგად, მინუსკულური დამწერლობის ამ ფორმამ ფართო გავრცელება

პოვა ინგლისში. მინუსკულური დამწერლობის ამ ორ სახესხვაობას (კუნძულის და კონტინენტური) შორის განსხვავება ოთხი ასოს დაწერილობაში გამოიხატებოდა, ესენია ასოები: f, g, r, s. მაგალითად, ძველი ინგლისური ანბანის ერთ-ერთი თავისებურებაა ასო **Ʒ** (zán “to go”, cyninz “king” და სხვა). მოგვიანებით, საშუალო ინგლისურ პერიოდში, ფრანგული ენის გავლენით, ინსულარისი შეიცვალა კონტინენტური მინუსკულუსით და ეს სპეციფიკური ძველი ინგლისური ასო ჩაანაცვლა ასო **g**-მ (go, king).

XV საუკუნის ბოლოს, აღორძინების ეპოქაში იტალიაში შეიქმნა ლათინური ანბანის სახესხვაობა, რომელსაც ეწოდა **ანტიკვა (Antiqua)**. XVI საუკუნიდან ანტიკვა ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

რუნიკული ანბანი.

რუნიკული ანბანი შეიქმნა ჩვენი წელთაღრიცხვის II – III საუკუნეებში და იხმარებოდა გვიან შუა საუკუნეებამდე. რუნებს მხოლოდ ძველი გერმანელი ტომები იყენებდნენ. რუნებს იყენებდნენ სხვადასხვა გერმანიკული მოდემის ტომები, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ და ჩრდილოგერმანიკული ტომები. ამდენად, რუნიკული ანბანი შეიძლება განვიხილოთ საერთო გერმანიკულ დამწერლობად. რუნები, ანუ ამ დამწერლობის ნიშნები თავისებური მოხაზულობის ასოებია (იხ. სურათი 1).



სურათი 1.

ეს ასოები უჩვეულოდ გამოიყურება იმათთვის, ვისაც თვალი ევროპული ანბანისთვის აქვს შეჩვეული. რუნიკული ანბანი თავისებურია ასოთა თანმიმდევრობითაც. ჩვენთვის ცნობილი ანბანები შემდეგი თანმიმდევრობისაა: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ და ა.შ. ა, b, c, d, e, f, g, h, i და ა.შ. რუნიკული ანბანის თანმიმდევრობა კი არის: **f, u, θ, a, r, k, g,**




w, h, n, i და ა.შ. ანბანის პირველი ექვსი ასოს ბგერითი მნიშვნელობის მიხედვით (**f u θ a r k**) რუნიკული ანბანის ამ სახესხვაობას **ფუთარქი** ეწოდება.

სიტყვა რუნა თავდაპირველად „საიდუმლოს“ აღნიშნავდა. ამ სიტყვით თარგმნა, მაგალითად, ულფილამ ბერძნული სიტყვა *mysterion* ლუკას სახარების მე-8 თავის მე-10 სტრიქონში: „თქვენ მოგეცათ ღმრთის სასუფეველის **საიდუმლოთა** ცოდნა...“. რუნას ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს ამ სიტყვის ეტიმოლოგიიდან: **პროტო-გერმანიკ.** *rūnō; **ძვ. ინგლ.** rūn "საიდუმლო; რუნა"; **ძვ. საქს.** rūna „საიდუმლო; თათბირი, ბჭობა“; **ძვ. ზემ.-გერმ.** rūna „ჩურჩული; საიდუმლო“; **ძვ. ისლ.** rún „საიდუმლო; რუნა“ (**თანამედრ. ისლ.** rún „რუნა; ასო“).























ძირი *run-* ასევე გვხვდება ბალტიკურ ენებში და აღნიშნავს „ლაპარაკს, მეტყველებას“. ლიტვურ ენაში სიტყვას *runoti* აქვს 2 მნიშვნელობა: „(დანით) გაჭრა, კვეთა“ და „ლაპარაკი“. სიტყვის ეტიმოლოგიიდან გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდა რუნა წარწერებს, რომელთაც მაგიურ წარწერებად მიიჩნევდნენ. შემდეგში რუნა უწოდეს ასოებს, რომლებიც ამგვარი წარწერების გასაკეთებლად იხმარებოდა და რუნამ შეიძინა თვით ამ დამწერლობის ასოების აღნიშვნის ფუნქცია.

რუნიკული ანბანით შესრულებული წერილობითი ძეგლები ესაა წარწერები ხეზე, ქვაზე, ლითონზე, მოგვიანებით ჩნდება სასულიერო და საერო ხასიათის ტექსტები ქალაქებზე. ეს წარწერები კეთდებოდა სამკაულებზე, ავგაროზებზე, ბეჭდებზე, იარაღზე და სხვა, ხოლო სკანდინავიაში ქვებზე და კლდეებზეც კი. წერის ტექნიკა იყო კვეთა – ქვაზე, ძვალზე, ლითონზე, ხეზე. რუნიკული წარწერები ასობითაა შემორჩენილი. ყველა ეს წარწერა ენობრივ ძეგლს არ წარმოადგენს, რადგან ზოგიერთი მათგანის გაშიფვრით არცერთი ძველი გერმანიკული სიტყვა არ იკითხება. ამ წარწერათა უმრავლესობა მოკლეა, ერთი-ორი სიტყვისაგან შედგება, ესაა უპირატესად ადგილის სახელები, საკუთარი სახელები.

რუნებს, გარდა ბგერითი მნიშვნელობისა, აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა და ამა თუ იმ ადდგენილ პროტოგერმანიკულ სიტყვას უკავშირდება.

- მაგ.:  * fehu, რაც ნიშნავს „სიმდიდრეს, მსხვილფეხა რქოსან საქონელს“;
-  *uruz – „ხარი“;
-  *purisaz – „გოლიათი; ეკალი“ და სხვა (იხ. სურათი 2).


The runes from the older futhorc, the reconstructed Gmc names, the names in Old English and the translation:

	f	*fehu	feoh	cattle
	u	*uruz	ūr	ox
	þ	*purisaz	þorn	thurs (giant), thorn
	a	*ansuz	ōs ǣ	Ace, god; mouth
	r	*raidō	rād	wagon, wheel
	k	*kaunan(?)	cēn ƿ	tumour?; torch
	g	*gebō	gyfu	gift
	w	*wunjō	wyn	lust, pleasure
	h	*haglaz	hægl ȝ	hail, bad happenings
	n	*naudiz	nýd	need, fate, destiny
	i	*isaz	īs	ice
	j	*jāran	gēr	year, harvest
	ī	*īwaz	ēoh, īh	yew
	p	*perþō?	peorð	?
	z	*algiz	eolhx, eolhxsecg	elk; rush
	s	*sōwilō	sigel	sun
	t	*ūwaz	tīr	Tyr, the sky god
	b	*berkanan	beorc	birch
	e	*chwaz	eh	horse
	m	*mannaz	man	man
	l	*laguz	lagu	lake, water
	(i)ng	*ingwaz	ing	Ing, fertility god

სურათი 2.

რუნიკულ ანბანს, როგორც აღინიშნა, გამოიყენებდნენ სხვადასხვა გერმანიკული ტომები: გოთები, ანგლო-საქსები, სკანდინავები. ამდენად, ყველა ტომს თავისებური ცვლილებები შეჰქონდა ანბანში. ჩვეულებრივ ანსხვავებენ რუნიკული ანბანის ორ

სახესხვაობას: ძველი რუნები, ანუ ფუთარქი (იხ. სურათი 1) და ახალი რუნები (იხ. სურათი 3).



სურათი 3.

ძველი რუნები 24 ნიშნისგან შედგებოდა. ეს ანბანი III – VIII საუკუნეებში გამოიყენებოდა. მოგვიანებით, IX საუკუნეში 24-ნიშნიანი რუნიკული რიგი სკანდინავიის ქვეყნებში შეიკვეცა 16-ნიშნიან რიგად, ამავე დროს გამარტივდა ზოგიერთი რუნის გრაფიკული გამოსახულება და წარმოიშვა საკუთრივ სკანდინავიური, ე.წ. ახალი ანუ დანიური რუნები (IX – XII საუკუნეები). მიუხედავად თავისი არასრულფასოვნებისა (16-ნიშნიანი რუნიკული რიგი გამოიყენებოდა სკანდინავიურ ენებში არსებული 40-მდე ბგერის გადმოსაცემად. ამდენად, ერთი და იგივე რუნა რამდენიმე ბგერას აღნიშნავდა), ახალი რუნები სკანდინავიაში ფართოდ გამოიყენებოდა XII საუკუნის შუახანებამდე. მოგვიანებით წარმოიშვა რუნების ლოკალური ვარიანტები: **შეკვეცილი რუნები** (რუნების შვედურ-ნორვეგიული ვარიანტი), **წერტილებიანი რუნები** (XII – XIII საუკუნეები), **ანგლო-საქსური რუნები**.

წერტილებიანი რუნები 16-ნიშნიანი რუნიკული რიგის შემდგომი სრულყოფის ცდა იყო. ამ ანბანს ასე უწოდებდნენ იმის გამო, რომ ბევრი რუნა მასში წერტილის დამატებით წარმოიშვა. **ანგლო-საქსური** რუნიკული რიგი თავდაპირველად 28 ნიშნისაგან შედგებოდა, შენდეგ კი ნიშნების რაოდენობა 33-მდე გაიზარდა. ჩვენამდე მოაღწია ანგლო-საქსური რუნიკული ანბანის რამდენიმე ათეულმა წერილობითმა ძეგლმა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წარწერა **ფრენკსის ზარდახშაზე** (იხ. სურათი 4), უფრო გვიანდელია რელიგიური შინაარსის ლექსი ქვის ჯვარზე

შოტლანდიის სოფელ რუთველში, ე.წ. რუთველის ჯვარი (Ruthwell cross). ფრენკსის ზარდახმა დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში. ორივე ზემოხსენებული წარწერა ძველი ინგლისური ენის ნორთუმბრიული დიალექტის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლია.



სურათი 4.

საკითხი რუნების წარმოშობის შესახებ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში უკვე XVI საუკუნიდან მოექცა. საიდან წარმოიშვა რუნები? ანბანი დამოუკიდებლად შექმნეს გერმანიკულმა ტომებმა თუ იგი რომელიმე სხვა ანბანის საფუძველზე წარმოიშვა? კერძოდ რომელი ანბანი უდევს საფუძვლად რუნებს? ეს ის კითხვებია, რომლებზეც მეცნიერები პასუხის გაცემას ცდილობდნენ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში დანიელმა მეცნიერმა **ლუდვიგ ვიმერმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ რუნებს საფუძვლად უდევს ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ევროპული დამწერლობები, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა იტალიკური, მათ შორის ლათინური ანბანებით. აღნიშნული ანბანების შედარებამ ვიმერი მიიყვანა

დასკვნამდე, რომ რუნები შეიძლება მივიჩნიოთ ლათინური ანბანიდან განვითარებულ ანბანად. რამდენიმე რუნის გრაფიკული გამოსახულება მართლაც ჰგავს შესაბამის ლათინურ ასოებს (მაგ. i, t, b, r, m).

რუნების წარმოშობასთან დაკავშირებით საინტერესო თეორია შექმნა ნორვეგიელმა მეცნიერმა **მარსტრანდერმა**. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ რუნებს საფუძვლად უდევს სუბალპური ჩრდილო ეტრუსკული ანბანი (Subalpine Northern Etruscan Alphabet). ეს ანბანი გამოიყენებოდა აღმოსავლეთ ალპებში პრეიტალიკური ტომების მიერ. რუნიკული ანბანი საოცრად ჰგავს ამ ანბანს (იხ. სურათი 5).



სურათი 5.

გოთური ანბანი.

რუნიკული ანბანისგან განსხვავებით, რომელიც საერთოგერმანიკული ანბანია, გოთურ ანბანს მხოლოდ გოთები იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ეს ანბანი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას, რადგან ამ ანბანით შექმნილია მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი, „ვერცხლის კოდექსი (Codex Argenteus)“. ამ ხელნაწერის აღმოჩენამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გერმანიკული ენების შესწავლისა და პროტოგერმანიკული ენის რეკონსტრუქციის საქმეში, ასევე მთლიანად ინდოევროპეისტიკაში. გოთური ენის მნიშვნელობა დეტალურადაა განხილული მეორე თავში და აქ ამ საკითხზე აღარ შევჩერდები.

როგორც უკვე აღინიშნა, „ვერცხლის კოდექსი“ მოიცავს ვესტგოთი ეპისკოპოსის ულფილას მიერ IV საუკუნეში თარგმნილ ბიბლიას, კერძოდ ესაა ოთხთავი და ძველი აღთქმის მცირე ფრაგმენტი. გოთური ანბანის შექმნასაც ულფილას მიაწერენ. გოთური ანბანი 27 ასოსგან შედგებოდა. ასოების გრაფიკული გამოსახულება, მათი თანმიმდევრობა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ გოთურ ანბანს საფუძვლად უდევს ბერძნული ანბანი (იხ. სურათი 6).


ᚠ	ᚢ	ᚦ	ᚩ	ᚱ	ᚷ	ᚹ	ᚻ	ᚾ	ᚿ	ᚰ	ᚳ	ᚴ	ᚷ	ᚸ
ahsa	bairkan	giba	dags	aihvus	qairthra	iuja	hagl	thiuth	eis	kusma	lagus	manna	nauths	
a	b	g	d	e	q	z	h	þ	i	k	l	m	n	
[a/a:]	[b/v]	[g/ŋ/x]	[d/ð]	[e/e:]	[kʷ]	[z]	[h/x]	[θ]	[i/i:]	[k]	[l]	[m]	[n]	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	20	30	40	50	
ᚤ	ᚥ	ᚨ	ᚫ	ᚱ	ᚷ	ᚹ	ᚻ	ᚾ	ᚿ	ᚰ	ᚳ	ᚴ	ᚷ	ᚸ
jer	urus	pairthra		raida	sauil	teiws	winja	faihu	iggws	hwair	othal			
j	u	p		r	s	t	w	f	x	h	o			
[j]	[u/u:]	[p]		[r]	[s]	[t]	[w/y]	[f]	[kʰ]	[ʰ]	[o/o:]			
60	70	80	90	100	200	300	400	500	600	700	800	900		

სურათი 6.

გარდა ბერძნული ანბანისა, გოთურ ანბანს რამდენიმე ასო ნასესხები აქვს ლათინური და რუნიკული ანბანებიდან. მაშასადამე, გოთური ანბანი ძირითადად

განვითარებულია ბერძნული ანბანის საფუძველზე. გოთური ტექსტების თანამედროვე გამოცემებში ჩვეულებრივ გამოიყენება გოთური ანბანის ლათინური ტრანსლიტერაცია.

„ვერცხლის კოდექსი“, სავარაუდოდ, შეიქმნა ოსტგოთების ლეგენდარული მეფის, თეოდორის დიდისთვის VI საუკუნეში. ხელნაწერი დაწერილია იასამნისფერ პერგამენტზე ოქროსფერი და ვერცხლისფერი მელნით (აქედან წარმოდგება ხელნაწერის სახელწოდებაც. იხ. სურათი 7).



სურათი 7.

ამ უნიკალურმა ხელნაწერმა, სამწუხაროდ, ჩვენამდე სრული სახით ვერ მოაღწია. 336 გვერდიდან შემორჩა მხოლოდ 187 გვერდი. დღეისათვის „ვერცხლის კოდექსი“ ინახება შვედეთში, კერძოდ უფსალას უნივერსიტეტში.

ქვემოთ წარმოდგენილია „მამაო ჩვენოს“ ლოცვის ტექსტი გოთური ანბანით, ინგლისური თარგმანითა და ლათინური ტრანსლიტერაციით (იხ. სურათი 8).

The Lord's Prayer in Gothic (c. C.E. 350)

𐌰𐌹𐍃𐍅 𐌹𐌺𐍃𐍅 𐍆𐌺 𐌶𐌴 𐌶𐌺𐌴𐌹𐌺 𐍆𐌴𐌶𐌹𐌸 𐌺𐌰𐌺 𐍆𐌴𐌶
father our thou in heaven blessed name thy
atta unsar thu in himinam weihnai namo thein

𐌸𐌴𐌶𐌹 𐍆𐌶𐌰𐌶𐌺𐌸𐌺𐌸𐌺 𐍆𐌴𐌶𐌺 𐍆𐌶𐌰𐍆𐌶𐌹 𐍆𐌶𐌸𐌸 𐍆𐌴𐌶𐌺
come kingdom thine become will thy
quimai thiudinassus theins wairthai wilja theins

𐍆𐍆𐌴 𐌶𐌴 𐌶𐌴𐌶𐌹𐌺 𐍅𐌰 𐌰𐌺 𐌶𐌶𐌰𐍆𐌶𐌹 𐌶𐌰𐌹𐍆 𐌹𐌺𐍃𐍅𐌶𐌰𐌺
as in heaven so on earth loaf our
swe in himina jah ana airthai hlaif unsarana

𐍆𐌰𐌺 𐍆𐌶𐌴𐌶𐌺𐌶𐌴 𐌺𐌴𐍆 𐌺𐌺𐌸 𐌶𐌴𐌶 𐌰𐌶𐌸 𐍅𐌰 𐌶𐌶𐌰𐌸 𐌺𐌺
this daily give us this day and forgive us
thana sinteinan gif uns himma daga jah aflet uns

𐍆𐌶𐌴𐌶 𐍆𐌶𐌰𐌶𐌺𐌸 𐍆𐌶𐌰𐌶𐌺 𐍆𐌶𐌰𐌶𐌺 𐍆𐌶𐌰𐌶𐌺 𐍆𐌶𐌰𐌶𐌺
that sinful are just as also we forgive
thatai skulans sijaima swaswe jah weis afletam

𐍆𐌶𐌴𐌶 𐍆𐌶𐌰𐌶𐌺 𐌹𐌺𐍃𐍅𐌶𐌰𐌺 𐍅𐌰 𐌺𐌶𐌴𐌶𐌶𐌺 𐌹𐌺𐍃 𐌶𐌴
those sinful to us and not bring us into
thaim skulam unsaraim jah ni briggais uns in

𐌶𐌶𐌰𐌶𐌶𐌶𐌶𐌶𐌶𐌶 𐌶𐌶 𐌰𐌶𐌶𐌶 𐌹𐌺𐍃 𐌶𐌶 𐍆𐌶𐌰𐌶𐌶 𐌺𐌶𐌶𐌶
temptation but lead us from this evil
fraistubnjai ak lausai uns of thamma ubilin

𐌺𐌴𐌶 𐍆𐌴𐌶𐌶 𐌶𐌴𐌶 𐍆𐌶𐌰𐌶𐌶𐌶𐌶𐌶 𐍅𐌰
for thine is kingdom and
unte theina ist thiudangardi jah

𐌶𐌶𐌶𐌶 𐍅𐌰 𐍆𐌶𐌰𐌶𐌶 𐌶𐌴 𐌶𐌶𐌶𐌶 𐌶𐌶𐌶
might and glory into eternity amen
mahts jah wulthus in aiwins amen

სურათი 8.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რა სახის ანბანებს იყენებდნენ უძველესი დროიდან ევროპის ხალხები?
2. რომელი ანბანებისგან განვითარდა ლათინური ანბანი?
3. ვინ იყვნენ ეტრუსკები და რა ზეგავლენა იქონიეს მათ ლათინური ანბანისა და რომაული კულტურის ფორმირებაზე?
4. ლათინური ანბანის რომელი სახესხვაობანი შეგიძლიათ დაასახელოთ?
5. რით არის მნიშვნელოვანი კუნძულის მინუსკულუსი, ანუ ინსულარისი ინგლისური დამწერლობისა და კულტურის ისტორიისთვის?
6. რა გრაფიკული თავისებურებებით გამოირჩეოდა ლათინური დამწერლობის ეს ნაირსახეობა?
7. სავარაუდოდ როდის შეიქმნა რუნიკული ანბანი?
8. რომელი ევროპელი ტომები იყენებდნენ რუნიკულ ანბანს?
9. რას ნიშნავს სიტყვა „რუნა“ გოთურად?
10. რუნიკული ანბანის რომელი რეგიონული თუ სხვა ნაირსახეობანი შეგიძლიათ დაასახელოთ?
11. რა დანიშნულება ჰქონდა რუნიკულ ანბანს ძველ გერმანელთა შორის? რით განსხვავდება ძველ გერმანელთა მიერ რუნების გამოყენება იმ ფუნქციისგან, რომელსაც ჩვენს ეპოქაში თანამედროვე დამწერლობათა სისტემები ასრულებენ?
12. რა შეგიძლიათ თქვათ გოთური ანბანის შესახებ? რომელ დამწერლობას ეფუძნება იგი?
13. რით არის საყურადღებო „ვერცხლის კოდექსი“ და რა მნიშვნელობა აქვს მას გოთური ენისა და ზოგადად გერმანიკული ენების შესწავლის საქმისთვის?
14. ვინ ითვლება ბიბლიის გოთური თარგმანის ავტორად (და აგრეთვე თავად გოთური ანბანის შემქმნელად)?
15. რომელ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაში ინახება დღესდღეობით „ვერცხლის კოდექსი“?